ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა

25 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 14:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: დავით სირაბიძე, რომან დავითაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ჯემალ ტაკიძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.10.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 12-95232966-95; განცხადების თარიღი 23.10.2023) „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის გ-95-9523090 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შედგენილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის 63 სოფელში პროგრამის შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები. სოფელ გარეტყის მოსახლეობა მოითხოვდა ახლადაშენებული სოფლის სახლის პირველი სართულის მოწყობას, რაც ვერ შესრულდა, ვინაიდან საპროექტო და საინჟინრო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიული დახრილობის გამო შეუძლებელია მიწისმოჭრა და ტერიტორიის ხელოვნურად მოსწორება, რადგან საფრთხე შეექმნება შენობის მდგრადობას. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი იქნას სოფლის სახლის საჭიროებისათვის ინვენტარი, რასაც ესაჭიროება პროგრამაში ცვლილების განხორციელება.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6.
წინააღმდეგი: 0.

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი

ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 14:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე